ბავშვთა მიმართ ძალადობა

საკითხავი მასალა

შემდგენელი: თინა ბანძელაძე

შინაარსი

1. ძალადობასთან დაკავშირებული ცნებების დეფინიცია 3
2. ბავშვთა მიმართ ძალადობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები 4
3. ძალადობის რისკფაქტორები 8
5. ძალადობის ინდიკატორები და გრძელვადიანი შედეგები 9
6. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა 14
7. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაცია 23
გამოყენებული ლიტერატურა 28

1. ძალადობასთან დაკავშირებული ცნებების დეფინიცია

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, ბავშვთა მიმართ ძალადობის განმარტება საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს, როგორც ძალადობის ფაქტს, ასევე ძალადობის განხორციელების პოტენციალსაც. განმარტების თანახმად, „ბავშვთა მიმართ ძალადობას და სასტიკ მოპყრობას შეადგენს ფიზიკური და ემოციური ძალადობის ყველა ფორმა, სექსუალური შეურაცხყოფა, უგულვებელყოფა და დაუდევარი მოპყრობა, ან კომერციული ან სხვა სახის ექსპლოატაცია, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარებისა და ღისების ფაქტიურ ან პოტენციურ ზიანს, პასუხისმგებლობასთან, ნდობასთან და ძალასთან დაკავშირებულ კონტექსტში“ (WHO, 1999).

განასხვავებენ ბავშვთა მიმართ ძალადობის 4 ძირითად ფორმას: ფიზიკური, ემოციური (ფსიქოლოგიური), სექსუალური ძალადობა და უგულვებელყოფა.

ფიზიკური ძალადობა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედებაა, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და /ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. ის შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სახით: ხელისკვრა, დარტყმა, ყურის აწევა, თმის მოქაჩვა, ხელის ძლიერად მოჭერა,შეფურთხება, კბენა, დამწვრობის, ჭრილობის მიყენება და სხვა. ბავშვის შენჯღრევის სინდრომი (მათ შორის, ტვინის და/ან ქალას ტრავმები).

ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა გულისხმობს იმგვარ ქცევებს, რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით. ასეთი ქცევების კატეგორიას მიეკუთვნება: დამაცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ბავშვზე ძალადობაა მოზრდილთა ჩხუბი მისი თანდასწრებით. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან იყოს სხვა ტიპის ძალადობის შემადგენელი ნაწილი.

სექსუალური ძალადობა ბავშვის გამოყენებაა სექსუალური მიზნებისთვის, უფრო კონკრეტულად კი ვლინდება შემდეგი სახით: სექსუალური მეტყველებით დევნა, ეროტიკული ელფერის ალერსი, თვალთვალი. ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის კონტენტის დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, ღია საუბრები სექსზე მისი ცნობისმოყვარეობის გაღვივების ან შოკირების მიზნით და სხვა.

უგულვებელყოფა არის ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და განვითარების აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა,

ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის ან მეურვის მხრიდან ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ჯანმრთელობის პრობლემები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

ბავშვთა მიმართ ძალადობა მსოფლიოში არსებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და დრამატულია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2006 წლის მასშტაბური კვლევის თანახმად, რომელშიც მსოფლიოს 133 ქვეყანა მონაწილეობდა, გამოვლინდა, რომ „ბავშვზე ძალადობის შემთხვევებს ვხვდებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ყველა საზოგადოებაში განურჩევლად სოციალური ფენისა, კულტურისა, ეთნიკური კუთვნილებისა ან წარმომავლობისა. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმრავლესობისთვის ცნობილია ბავშვის უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, ზოგიერთი კულტურის ადათ-წესები წაახალისებს ბავშვთა მიმართ ძალადობას“.

2. ბავშვთა მიმართ ძალადობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები

მსოფლიო ჯანდავის ორგანიზაციის მიერ უახლესი მასშტაბური კვლევა, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს შეეხებოდა, 2016 წელს გამოქვეყნდა. კვლევაში ხაზგასმით გამოვლინდა ძალადობის მასშტაბი და პრობლემატიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო მიგნებების მიხედვით,

- ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიოს 96 ქვეყანაში, 2-18 წლის ასაკის 1 მილიარდმა ბავშვმა და მოზარდმა განიცადა ფიზიკური, ემოციური თუ სექსუალური ძალადობა, რაც მსოფლიოში ამ ასაკის მოსახლეობის ნახევარს შეადგენს.

- ბავშვზე ძალადობის შემთხვევების დიდი წილი დაფარულია ოფიციალურ სტატისტიკაში - ბავშვთა მიმართ გაკეთებული შეტყობინება სექსუალური ძალადობის შესახებ 30%-ით, ხოლო ფიზიკური ძალადობის შესახებ 75%-ით მეტია, ვიდრე ქვეყნების მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული შემთხვევები;

- გოგონები მეტად მოწყვლადნი არიან, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მიმართ - სიცოცხლის განმავლობაში სექსუალური ძალადობა განიცადა გოგოების 18%, ხოლო ბიჭების 8%-მა. სექსუალური ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ბავშვები ჰუმანიტარული კრიზისის და პოსტ-კონფლიქტური ვითარების დროს.

საქართველოში, სამწუხაროდ, არც ისე ბევრია განახლებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მასშტაბთან, ძირითად ტენდენციებთან და მახასიათებლებთან. ერთ-ერთი ასეთი მასშტაბური ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა 2008 წელს (ბავშვთა მიმართ ძალადობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები საქართველოში, 2008 წლის ეროვნული კვლევა). მოცემულ კვლევაში ჩანს დაახლოებითი მასშტაბი ბავშვთა მიმართ გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ძალადობისა, როგორც ოჯახში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მოცემული კვლევის მიხედვით,

- ოჯახში ძალადობის მოწმეა ბავშვების 49.1 %;
- ოჯახში ფიზიკური ძალადობის გამოცდილება აქვს ბავშვების 54%-ს;
- ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება აქვს ბავშვების 59.1%;
- ოჯახში სექსუალური ძალადობის გამოცდილება აქვს ბავშვების 7.8%-ს.

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ძალადობის გავრცელებას, მონაცემები ასე გამოიყურება:

- ფიზიკური ძალადობის გამოცდილება - 47%;
- ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება -- 47.5%;
- სექსუალური ძალადობის გამოცდილება (რომელშიც, უპირატესად, სხეულის ინტიმურ ადგილებში შეხება მოიაზრებოდა) – 5.6. %.

ძალადობის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების, ინფორმირებულობის დონისა და ტენდენციების შესახებ, საინტერესო კვლევა ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, 2013 წელს. მოცემული კვლევის რამდენიმე ნიშანდობლივი შედეგია:

- მოსახლეობის უმრავლესობას უკეთ ესმის რას ნიშნავს ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, ვიდრე ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულვებელყოფა. ვინაიდან სექსუალური და ფიზიკური ძალადობის ნიშნების უფრო ხშირად არის ხილული, ვიდრე ეს შეიძლება მოხდეს ფსიქოლოგიური ძალადობისა და უგულვებელყოფის შემთხვევაში. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნების მიმართ საზოგადოება მეტად ტოლერანტულია და მაღალია ალბათობა, რომ აღნიშნული მახასიათებლების არც იქნას მიჩნეული ძალადობად.

- ზოგადად, მოსახლეობაში ბავშვზე ძალადობის მიმართ ტოლარანტულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 45%-ს შეადგენს. ტოლარანტულობის მოცემული მაჩვენებელი შეიძლება აიხნას კულტურული თავისებურებებით, რომელიც მხარს უჭერს აღზრდის პროცესში „მკაცრი“ ზომების გამოყენებას;
- საზოგადოების 94%-ს ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, როდესაც ის ოჯახში ძალადობის მომსწრე ხდება, თუმცა უმეტესობა ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირების ჩარევის წინააღმდეგია. გარეშე პირებში იგულისხმება არა მხოლოდ სამეზობლო, არამედ სოციალური და სამართალდამცავი სამსახურებიც;
- განათლების დონე დადებითად მოქმედებს პიროვნების დამოკიდებულებაზე ძალადობის მიმართ. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო მეტია ადამიანის გაცნობიერებულობა აღზრდის პოზიტიური მეთოდების მნშვნელობისა და ე.წ. „მკაცრი“ მიდგომების ნეგატიური შედეგების შესახებ. ილუსტრაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი

ცხრილი 4. მიღებული განათლების დონე და დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ

	მიღებული განათლება					
	არასრული საშუალო	საშუალო	ნაწილობრივი უმაღლესი	ბაკალავრიატი	ასპირანტურა	სულ
პოზიტიური დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ	66%	50%	44%	38%	36%	45%
ნეგატიური დამოკიდებულება ფიზიკური დასჯის მიმართ	34%	50%	56%	62%	64%	55%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

- მოსახლეობის უმეტესობა (60%) მიიჩნევს, რომ მკაცრი დისციპლინური მიდგომებით აღზრდა მეტად ეფექტიან შედეგს იძლევა, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება. ახალგაზრდების აზრი განსხვავებულია. მათ უპირატესად მიაჩნიათ პოზიტიური აღზრდის მეთოდები.
- საქართველოში მოსახლეობის 90%-ზე მეტს არ სჯერა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი შეიძლება იყოს ოჯახის წევრი

ან ახლო ნათესავი მეგობარი. გლობალური სტატისტიკის თანახმად, კი ყველაზე ხშირად, ასეთ დანაშაულს სჩადიან ოჯახის წევრები და ნაცნობები;

- მოსახლეობის 85% მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა და უგულებელყოფა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას (63- 67%).
- ყოველმა მეხუთე საქართველოს მოქალაქემ არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს როდესაც ძალადობის მოწმე გახდება.
- როდესაც ადამიანმა იცის, რა უნდა გააკეთოს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, ის 80%–ზე მეტი ალბათობით განაცხადებს პრობლემის არსებობის შესახებ.
- კვლევის შედეგების მიხედვით, ძალადობის მიმართ ტოლერანტულობა დაკავშირებულია ბავშვობაში ძალადობის გამოცდილებასთან. ადამიანები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება აღზრდის პროცესში ძალადობრივი მიდგომების მათ წინააღმდეგ გამოყენებისა, მეტად უჭერენ მხარს ფიზიკური დასჯის გამოყენებას ბავშვის აღზრდის პროცესში. ილუსტრაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი

ცხრილი 2. ბავშვობაში განცდილი ფიზიკური დასჯა და დამოკიდებულება ბავშვების ფიზიკური დასჯის მიმართ

	ფიზიკური დასჯა დასაშვებია	ფიზიკური დასჯა დაუშვებელია
ხშირად განუცდია ფიზიკური დასჯა	67%	33%
ზოგჯერ განუცდია ფიზიკური დასჯა	58%	42%
არასდროს განუცდია ფიზიკური დასჯა	39%	61%
სულ	45%	55%

3. ძალადობის რისკფაქტორები

ძალადობა, როგორც სოციალური პრობლემა, რამდენიმე ფაქტორის ურთიერთზემოქმედებითაა განპირობებული. არასწორია შეხედულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ სირარიბეს, ან ბავშვის რთულ ტემპერამენტს ან თუნდაც, მშობლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას შეუძლია გამოიწვიოს ბავშვთა მიმართ ძალადობა. როგორც წესი, ძალადობა არის სხვადასხვა დონეზე არსებული რისკფაქტორების რთული ურთიერთქმედების შედეგი. შესაძლებელია, ინდივიდუალურ დონეზე არსებობდეს რისკი, მაგალითად, მშობლის ნაკლები ცოდნა და უუნარობა აღზრდის კონსტრუქციული გზების გამოყენების შესახებ, მაგრამ მოცემული რისკი განეიტრალდეს სხვა დონეზე არსებული დამცავი ფაქტორებით, მაგალითად, მხარდამჭერი თემით, ბავშვთა დაცვის ძლიერი სოციალური სისტემის არსებობით და ა.შ.

ძალადობის რისკფაქტორები მრავალგვარია და მათი კატეგორიზება ხდება ინდივიდუალური (უშუალოდ, მშობელთან დაკავშირებული), ოჯახთან დაკაშირებულ (მშობელთა ურთიერთობის პროცესში გამოვლენილი), თემისა და ფართო საზოგადოების რისკფაქტორებად.

ინდივიდუალური რისკფაქტორები

- მშობლის/მეურვის ძალადობის გამოცდილება;
- ბავშვის განვთარების და აღზრდის შესახებ ინფორმაციის უქონლობა;
- მშობლის დეპრესია, თვითკონტროლის დეფიციტი ანდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემები;
- ალკოჰოლზე/ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ან სხვა ტიპის ადიქცია;
- დასჯის მეთოდების ადეკვატურად მიჩნევა აღზრდის პროცესში.

ოჯახთან დაკავშირებული რისკფაქტორები

- მატერიალური სიდუხჭირე;
- სოციალური მხარდაჭერის ქსელის უქონლობა;
- ბავშვსა და მშობელს შორის დისტანცირებული ურთიერთობის პატერნი;
- ოჯახის წევრის ფიზიკური/გონებრივი განვითარების სირთულეები;
- შვილის სქესობრივი ნიშნით გამორჩევა;
- განათლების დაბალი დონე ოჯახში;

- ოჯახის დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით;
- ოჯახის კრიმინალურ ქცევაში ჩართულობა.

თემთან დაკავშირებული რისკფაქტორები

- ბავშვზე ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებები;
- საცხოვრებელი ფართის დაკარგვა ან შეუფერებელი საცხოვრებელი პირობები;
- ოჯახის მხარდამჭერის სერვისების არარსებობა;
- უმუშევრობის მაღალი დონე;
- ალკოჰოლის მარტივად ხელმისაწვდომობა;
- კრიმინოგენური გარემო.

სოციალური რისკფაქტორები

- კულტურული ნორმები, რომელიც დასაშვებს ხდის ბავშვზე ძალადობას, ან ზოგადად, სხვების მიმართ ძალადობას, ფიზიკური დასჯის ჩათვლით;
- კულტურული ნორმები, რომლებიც მოითხოვს გენდერული როლების მკაცრად დაცვას;
- კულტურული ნორმები, რომელიც ბავშვისა და მშობლის ურთიერთობაში, ბავშვის სტატუსს აკნინებს.

5. ძალადობის ინდიკატორები და გრძელვადიანი შედეგები

ძალადობა, როგორც ერთხელობრივი მწვავე მატრავმირებელი ან ქრონიკული სტრესული გამოცდილება მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროზე. ძალადობის შედეგები შეიძლება გამოვლინდეს ფსიქიკურ განვიტარებასა და აქტუალურ მდგომარეობაში, ემოციურ ფონსა და ქცევაში, სოციალურ ურთიერთობებსა და საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებებში. ძალადობის მოკლევადიანი შედეგები, რომელსაც ინდიკატორებსაც/მიმანიშნებლებსაც უწოდებენ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა პროფესიონალებისთვის, რომლებიც ბავშვთა დაცვის სფეროში მუშაობენ. როგორც წესი, ბავშვები უფრო იშვიათად ყვებიან საკუთარ მატრავმირებელ გამოცდილებაზე, ამიტომ ძალადობის მსხვერპლობის პოტენციური მიმანიშნებლების ცოდნა მნიშვნელოვანია რეალური პრობლემემის იდენტიფიკაციისათვის. გასათვალისწინებელია, რომ ძალადობის ეფექტი ყველა ბავშვზე ინდივიდუალურად ვლინდება, თუმცა სამეცნიერო კვლევებით

გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორი, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება ძალადობაგანცდილ ბავშვებთან.

- განვითარების სხვადასხვა სფეროს (ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, ემოციური კონტროლი, ქცევა და სოციალური ურთიერთობები) შეფერხება, რეგრესი ან ასაკთან შედარებით „დიდად“ წარმოჩენა;
- მშობლებთან არაადეკვატური ურთიერთობა/დამოკიდებულებები - ბავშვი ძალიან მგრძნობიარეა მშობლის გუნება-განწყობილების ცვლილების მიმართ; ცდილობს პოტენციური კონფლიქტის ჩახშობას, რასაც შედეგად მოჰყვება როლების ერთგვარი შეცვლა; მშობლის მიმართ ავლენს ამბივალენტურ დამოკიდებულებას- ეშინია და ამავე დროს, ცდილობს მისი გულის მოგებას, ავლენს ზრუნვასა და სითბოს;
- ფსიქოემოციური მდგომარეობის დარღვევა - დაბალი თვითშეფასება, შფოთვა, დეპრესია და სუიციდის მცდელობა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ თავს მიიჩნევს დამნაშავედ იმაში, რაც თავს გადახდა. მათი წარმოდგენით, შესაძლებელია მათი ბუნებრივი საჭიროებები, სურვილები ან ქცევა იყოს მოძალადის მხრიდან განხორციელებული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორი. დროთა განმავლობაში ბავშვი იწყებს დაჯერებას, რომ „უვარგისია“, პრობლემის მიზეზია, „უკეთესი რომ იყოს, ასეთი რამ არ მოხდებოდა“ და ა.შ. აღნიშნული მოსაზრებები, დროთა განმავლობაში, პიროვნების მახასიათებლებად და საკუთარი თავის მიმართ არსებულ წარმოდგენებად ტრანსფორმირდება, ზრდასრულ ასაკში შეიძლება მოგვევლინოს დეპრესიული მდგომარეობის, შფოთვის, საკუთარი უუნარობის განცდისა და უკიდურეს შემთხვევაში, სუიციდური აზრებისა და სუიციდის მცდელობის სახითაც კი.
- სასკოლო მიღწევების მკვეთრი დაქვეითება - განცდილი სტრესი, მით უფრო, თუ ის ქრონიკულ ხასიათს ატარებს, ხელს უშლის როგორც ინტელექტუალურ საქმიანობას, ისე- ემოციური რეგულაციის უნარს. ორივე მათგანი კი აკადემიური საქმიანობის აუცილებელი ნაწილია.
- ქცევის ცვლილება - იზოლაცია ან ზედმეტი აქტივობის, ზოგჯერ აგრესიის გამოვლენა.

ოჯახში ძალადობის შემსწრე ბავშვები იგივე ნიშნებს ავლენენ, რასაც ძალადობის მსხვერპლი ბავშვები!!!

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან კომუნიკაციაში შეიძლება გამოვლინდეს მათი ემოციური მდგომარეობის საილუსტრაციო აზრები და წამორდგენები, რომლებიც განცდილი სტრესის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებში ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სახის წარმოდგენები/აზრები:

- საკუთარი თავის დადანაშაულება - ბავშვის თვლის, რომ მისი ქცევა, სურვილები, აზრები ან დამოკიდებულებები გახდა მის მიმართ ძალადობის მიზეზი;
- ძალადობის უარყოფა - კრიტიკულად ვერ აფასებს ურთიერთობებს, პრობლემას და თვლის, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდება;
- ძალადობის მიმართ მიმღებლობა - ბავშვის თვლის, რომ ძალადობა ჩვეულებრივი რამაა და „ეს ასეც უნდა მომხდარიყო“;
- მარტოობის განცდა- ბავშვი თვლის, რომ მისი მდგომარეობით არ შეიძლება ვინმე დაინტერესებული იყოს და უმჯობესია შეეგუოს არსებულ ვითარებას;
- უნდობლობის განცდა- ბავშვი თვლის, რომ გულმოდგინე დამოკიდებულებას რეალურად არ იმსახურებს, რის გამოც ეჭვის თვალით უყურებს დახმარების ყოველგვარ მცდელობას სხვათა მიმართ;
- ქაოსი და ამბივალენტობა - ბავშვს უჭირს განსაზღვროს, როგორ მოქცევა იქნებოდა უკეთესი იმისათვის, რომ თავი დაეცვა მოძალადისაგან, მის წინააღმდეგ მოქმედება თუ მასთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება.

სიყვარული, დაცულობის შეგრძნება და განცდა, რომ მასზე ზრუნავენ, ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ბაზისური საჭიროებები. როდესაც ეს საჭიროებები არ კმაყოფილდება, ბავშვი შეიმუშავებს თავის გადარჩენის, დაცვის სტრატეგიებს.

1. უსუსურობის, გაუბედაობის და სხვაზე დამოკიდებულების დემონსტრირება: „თუ დამთმობი ვიქნები, ხელს აღარ მახლებენ“;
2. საკუთარ თავში ჩაკეტვა, იზოლაცია: „თუ ყველას ჩამოვშორდები და თვალში არავის მოვხვდები, ჩემზე ძალადობის სურვილი არავის ექნება“
3. აგრესიული, დომინანტური და ძალადობრივი ქცევა: „თუ ძლიერი ვიქნები და ყველას დავჩაგრავ, მე ვერავინ მომერევა“

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აქვთ პიროვნების გაორების მსგავსი ქცევა, რომელიც ვლინდება, ერთი მხრივ, მოძალადესთან იდენტიფიკაციის, ხოლო მეორე მხრივ, მსხვერპლის პოზიციაში ყოფნის გამო. ისინი ერთდროულად შეიძლება ავლენდნენ მსხვერპლისთვის დამახასიათებელ უსუსურობასაც და მოძალადისთვის

დამახასიათებელ აგრესიასაც. აღნიშნულის გამო, ხშირად ხდება ისე, რომ ერთსა და იმავე ბავშვს ან მოზარდს ეძლევა განსხვავებული შეფასება. ერთის აზრით, ეს არის ჩაკეტილი ბავშვი, რომელიც წარმოაჩენს თავს მსხვერპლის სახით, ხოლო მეორის აზრით, ის არის გამომწვევი, მოუსვენარი, აღელვებული და საშიში.

გარდა მყისიერად შენიშვნადი, ე.წ. მოკლევადიანი შედეგებისა, ძალადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსხვერპლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

ძალადობით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფსიქიკური შედეგი დაკავშირებულია ე.წ. ზე-სიფხიზლის მდგომარეობასთან. ზე-სიფხიზლე, რომელიც თავდაცვის მიმართულებით მუდმივად მობილიზებულ მდგომარეობაში ყოფნას გულისხმობს, უვითარდებათ ბავშვებს, რადგან მათთვის სამყარო არაპროგნოზირებადია და გამოცდილება კარნახობთ, რომ თავდასხმის ობიექტი შეიძლება გახდნენ სრულიად არაპროგნოზირებად, მათ მიერ არაკონტროლირებად სიტუაციებშიც. ზე-სიფხიზლის მდგომარეობა ვლინდება გაძლიერებული შფოთვისა და უიმედობის, სამყაროს მიმართ ზოგადი უნდობლობის და საფრთხის ადეკვატურად შეფასების უნარის დაქვეითებით. მუდმივი „საბრძოლო“ მზაობის გამო, პიროვნება თავდასხმის საფრთხეს შეიძლება ხედავდეს იქაც, სადაც ამის რეალური საფუძველი არ არსებობს. გარშემომყოფთა პერსპექტივიდან კი მსგავსი „დაძაბულობის“ მდგომარეობა აღიქმება, როგორც მტრულობა და აგრესია სხვების მიმართ. ზე-სიფხიზლის მდგომარეობასთან გამკლავების, უსაფრთხოებისა და გარემოს კონტროლის განცდის დაბრუნებისათვის პიროვნებამ შეიძლება სოციალურ იზოლაციასაც მიმართოს.

ძალადობის ტრავმული გამოცდილება შეიძლება საფუძვლად დაედოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს. ძალადობის მსხვერპლთა შორის შეიძლება განვითარდეს პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობაც (PTSD). ბავშვებში პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა ვლინდება შემდეგი ფორმით:

- ბავშვი იტანჯება მატრავმირებელი მოვლენის მუდმივი აკვიატებული განცდით, მაგალითად ე.წ. „ფლეშბეკებით“ (წარსული მოგონების უეცარი გაცოცხლება) ან ღამის კოშმარებით.
- ყოველდღიური მოვლენების მიმართ გასადავებული ემოციები
- ძილის დარღვევები
- დანაშაულის განცდა

- ყურადღების კონცენტრაციის სირთულე

ტრავმული გამოცდილების დაძლევის კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა შეიძლება იყოს ამგვარი გამოცდილების განდევნა/დავიწყება. ამ დროს, ფსიქიკა თავის დაცვის მიზნით, ახდენს მტკივნეული გამოცდილების რეპრესიას, თუმცა განდევნილი შინაარსი უკვალოდ არ ქრება და შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვადასხვა ტიპის ქცევით და ემოციურ სირთულეებს, მაგალითად,

- მკვეთრი და მწვავე აგრესია;
- ემოციებისა და ქცევების სწრაფი ცვალებადობა;
- უმიზეზო გაბრაზება;
- მეტყველების სტილის შეცვლა (მაგალითად, ბავშვური „ტიტინი“, ლანძღვაგინების მოულოდნელი შეტევები და სხვა);
- უმეტყველო თვალებით გაფანტული მზერა სივრცეში;
- მოულოდნელი დაბნეულობა ან დეზორიენტაცია;
- თვითდამაზიანებელი ქცევა.

მატრავმირებელი გამოცდილების გავლენა აზროვნებისა და ემოციურ პროცესებზე, ასევე გარემოდან მომდინარე სოციალური ზეწოლა აყალიბებს იმგვარ ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს მიზანშეწონილი რეაგირების გამოვლენის ალბათობას მსხვერპლის მიერ. ბავშვების შემთხვევაში ამას ემატება ზეწოლისადმი მოწყვლადობა, ცხოვრებისეული გამოცდილების დეფიციტი და ემოციური მოუმწიფებლობაც, რაც საბოლოო ჯამში აფერხებს ბავშვის მიერ მასზე განცდილი ძალადობის შესახებ შეტყობინების გაკეთების შესაძლებლობებს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც ბავშვები თავს არიდებენ ძალადობის ფაქტების გამჟღავნებას, ამგვარია:

- ვერ აცნობიერებს, რომ ძალადობის მსხვერპლია;
- ფიქრობენ, რომ მათ არავინ დაეხმარება, რადგან არავინ დაუჯერებს ან არავის ადარდებს მათი მდგომარეობა
- ძალადობა ძალიან პირადულია, მოძალადესთან მისი კავშირის გათვალისწინებით;

- მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებს;
- ეშინია, რომ კიდევ უფრო მეტი ძალადობის მსხვერპლი გახდება;
- ეშინია, რომ მომხდარი გაშუქდება მედიის საშუალებით;
- თუ ძალადობა ისეთ ადგილას ან მდგომარეობაში მოხდა, სადაც ყოფნა აკრძალულია, არ სურს ამის გახმაურება;
- შფოთავს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებენ ამას ახლობლები/მეგობრები- სცხვენიათ, რომ არ გამოჩნდეს „სულელი“, არ აღიქვან მსხვერპლად, არ შეიცოდონ.
- არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოხდება ფაქტის გახმაურების შემდეგ;
- არ სურს პოლიციასთან საქმის დაჭერა ანდა ფიქრობს, რომ პოლიცია ეფექტურად ვერ იმუშავებს;
- ნაკლებად სჯერა, რომ დამნაშავე დაისჯება;
- არ იცნობს სერვისებს, სამსახურებს, ვისაც შეიძლება დაუკავშირდეს;
- არ ჰყავს სანდო უფროსი/მეგობარი, რომელსაც გაუზიარებდა მომხდარის შესახებ.

6. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაა. სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდება ეს თუ არა. მოზრდილს შეუძლია იოლად მოახდინოს ბავშვზე ზემოქმედება და ასევე, ბავშს არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი სწორად შეფასება. გარდა ამისა, მოძალადე, თავისი მიზნის მისაღწევად, ხშირად, მიმარტავს მუქარასა და შანტაჟს. სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. ოჯახში სექსუალურ ძალადობას, უმეტესად, ქრონიკული ხასიათი აქვს, ზოგჯერ, წლების მანძილზეც გრძელდება. ხშირ შემთხვევაში ოჯახის გარეთ

სექსუალური ძალადობა გაუპატიურების სახით ხდება, ფიზიკური თავდასხმითა და მუქარით. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი, უმეტესად, მოზარდები არიან. ოჯახში სექსუალური ძალადობას ქრონიკული ხასიათი აქვს, ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება, ბავშვის ჩათრევა ამ ქმედებებში თანდათანობით ხდება, მსხვერპლი უფრო მცირე ასაკისაა, ვიდრე ოჯახის გარეთ ძალადობის შემთხვევაში.

- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა და მოზარდთა 1/3-ს ბიჭები, ხოლო 2/3-ს გოგონები წარმოადგენენ;
- მოძალადეთა უმრავლესობას, დაახლოებით, 90%-ს მამაკაცები წარმოადგენენ;
- მოძალადეთა 71% 35 წელზე ნაკლებისაა;
- სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი პირების საშუალო ასაკი 30 წელია;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა 20% 6 წლამდე ასაკისაა;
- განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ბავშვები და მოზარდები 7-დან 13 წლამდე;
- შემთხვევათა 75-90%-ს ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები ენდობიან, რადგან არიან ოჯახის წევრები ან ახლობლები.

სექსუალური ძალადობა ყველაზე მეტად ტაბუირებული ფორმაა ძალადობისა და ამის გათვალისწინებით არსებობს უამრავი მითი, რომელიც ეწინააღმდეგება რეალობას. აღსანიშნავია, რომ არასწორი ინფორმაციის ფლობისა და ცნობიერების დაბალი ხარისხის გამო, ხშირად, რთული ხდება ბავშვის ნორმალური ასაკობრივი სექსუალური ქცევისა და ძალადობის ინდიკატორების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ბუნებრივი და ჯანსაღი სექსუალური ქცევის ნიშნები, რათა უფრო მკაფიოდ გამოვყოთ ძალადობის მიმანიშნებლები.

ბუნებრივი და ჯანსაღი სექსუალური ქცევის ნიშნები

- სექსუალურ თამაშებსა და გამოკვლევებში მონაწილეობენ ერთი და იმავე ასაკის, განვითარების დონის მქონე ბავშვები;
- ბავშვები, რომლებიც სექსუალურ გამოკვლევებს მიმართავენ, ჩვეულებრივ, დიდ დროს ატარებენ ერთად და ერთად თამაშობენ სხვადასხვა თამაშებს და ახორციელებენ სხვადასხვა გამოკვლევებს, მათ შორის სქესისაც;
- ეს ორმხრივი, ერთობლივი გამოკვლევაა, რომლის დროსაც მონაწილეები როლებს ცვლიან;

- ბავშვები არ ფიქსირდებიან ერთ თამაშზე, ხშირად იცვლება თამაშის კონტენტი. სექსუალურ გამოკვლევაზე მიმართული თამაშის დროც შეზღუდულია;
- თუ მოზრდილი შეუსწრებს ბავშვებს სექსუალური თამაშის დროს, ბავშვები გამოხატავენ სირცხვილსა და შეწუხებას;
- ბავშვის ბუნებრივ სექსუალურ ქცევაში (თამაში, ცნობისმოყვარეობის გამოვლენა) არ შეინიშნება აგრესია;
- სექსუალურ თამაშებში მონაწილე ბავშვის განმარტებები ლოგიკურია და ცდილობს ახსნას, რას და რატომ აკეთებდა (მაგ; თამაშობდა „ექიმობანას“).

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ქცევითი მახასიათებლები

ზოგადი ინდიკატორი:

- სხეულის საზღვრის“ დარღვევა: განსაკუთრებული ჩაკეტილობა და დისტანცირებულობა ან სოციალური და პირადი დისტანციის მიზანმიმართული რღვევა.

სკოლამდელები:

- შფოთვა, გრძნობების ქაოსი, ბრალეულობა, სირცხვილი, ზიზღი, უმწეობა, საკუთარი „გაფუჭებულობის“ განცდა, ქცევის დარღვევები- აგრესია, რეგრესი, მასტურბაცია, გაუცხოება და სექსუალური თამაშები.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები:

- უფროსების მიმართ წინააღმდეგობრივი გრძნობები და ოჯახური როლების განსაზღვრის სირთულე; განმარტოება ან აგრესია; დუმილი ან მოულოდნელი ალაპარაკება; ძილის დარღვევები; სექსუალური ხასიათის თამაშები სხვა ბავშვებთან; „ბინძური სხეულის“ შეგრძნება.

მოზარდები:

- დეპრესიული მდგომარეობა, დანაკარგის განცდა. ქცევითი გამოვლინებები- იზოლაცია, სხვა ბავშვებით მანიპულირება სექსუალური სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით, წინააღმდეგობრივი ქცევაოპოზიციურობა.

რატომ არ იჯერებენ ანდა არ რეაგირებენ მშობლები ბავშვის შეტყობინებაზე?

სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია შეტყობინების სანდოობის შეფასება. ვინაიდან ამ ტიპის დანაშაულს, როგორც წესი, არ ყავს მოწმე და არც მატერიალური მტკიცებულებები მოიპოვება, რიგ შემთხვევებში, მხილება მხოლოდ ბავშვის შეტყობინებას ეფუძნება და ამდენად, გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს ბავშვთან სწორ კომუნიკაციას, თუმცა ძალადობის ხასიათიდან გამომდინარე, ხშირად, მშობლებს უჭირთ დროული, ადეკვატური და სწორი რეაგირება ბავშვის მიერ გაცხადებულ ინფორმაციაზე. მიღებული ინფორმაცია იმდენად მატრავმირებელია, რომ მშობელი არჩევს დაიჯეროს, რომ ბავშვი ტყუის. ვინაიდან, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ხშირად, მოძალადე ოჯახის ახლობელია, მშობლისთვის ნაცნობი და სანდო პირი, დამატებით წარმოიქმნება ფსიქოლოგიური დისონანსთან დაკავშირებული პრობლემაც. დასაწყისში შეიძლება გაჩნდეს შეუთავსებლობა/დისონანსი, მოძალადის პიროვნების მიმართ დამოკიდებულებასა და მის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის. დამატებით ჩნდება სირცხვილის ინტენსიური განცდა, რომელიც დაკავშირებულია ერთი მხრივ მშობლის ფუნქცია-მოვალეობების შესრულების უუნარობის განცდასთან და მეორე მხრივ, შვილის, როგორც სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ყოფნის მდგომარეობასთან. სირცხვილის განცდისა და დამატებით „სკანდალის ჩახშობის“ მოტივით, მშობლები შეიძლება ცდილობდნენ, რომ არ გახმაურდეს მომხდარი. ტრადიციულ საზოგადოებებში, მშობელი ერიდება „შვილის რეპუტაციის“ შელახვას და ამავე დროს, ღელავს საკუთარ რეპუტაციაზე, რადგან მისი აზრით, ვერ შეძლო ყოფილიყო სათანადოდ ყურადღებიანი, პასუხისმგებლიანი და სწორი აღზრდის განმახორციელებელი მშობელი. სექსუალური ძალადობა არღვევს უპირველესად მსხვერპლის ფსიქიკურ მდგომარეობას და მატრავმირებლად მოქმედებს ოჯახის მიკრო კლიმატზეც. ყველაზე რთულ შემთხვევებში, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მშობელმა შეიძლება ბავშვი დაადანაშაულოს ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობაში შექმნილი დისბალანსის გამო.

კიდევ უფრო რთულდება საკითხი, როდესაც საქმე გვაქვს ინცესტთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოძალადეთა უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამიტომ ინცესტის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს დედის რეაგირების პატერნს და მის მიერ მატრავმირებელი მოვლენის გააზრებას. ინცესტის შემთხვევაში, დედების მხოლოდ უმცირესობა წყვეტს მოძალადესთან კომუნიკაციას მყისიერად და მიმართავს შვილის დაცვისთვის საჭირო ზომებს. მსგავს შემთხვევებში, დედებს, მეტწილად, აქვთ გაორებული და პასიური დამოკიდებულება, რომლის მიზეზიც შეიძლება იყოს მოძალადის მიმართ ემოციური დამოკიდებულება; შვილის (იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი გოგონაა) „სხვა ქალად“ აღქმა; დედის როლის (ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების) გაცნობიერების პრობლემა; სექსუალური ძალადობის გამოცდილება წარსულში.

მშობლების მსგავსი რეაქცია ბავშვში ბადებს გაურკვევლობის განცდას, რაც ხელს უშლის დააღწიოს თავი მოძალადეს. მოგვიანებით, კი განიცდის იმედგაცრუებას მშობლების მხრიდან, რაც შეიძლება გამოვლინდეს თვითდამაზიანებელი ან აგრესიული ქცევის სახით.

შეიძლება თუ არა ბავშვი აკეთებდეს ცრუ შეტყობინებას მასზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ?

მსგავსი შეკითხვა სრულიად მოსალოდნელია, რომ გაჩნდეს, რადგან ბავშვებთან ურთიერთობისას, ყველას შეგვიმჩნევია, მათი ფანტაზიის უნარის შესახებ, თუმცა ბავშვის მიერ გამოგონილი ან გადასხვაფერებული ყველა ამბავი კავშირშია მის ასაკთან, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოსთან ან მის საქმიანობასთან. უფროსებს შორის სექსუალური ურთიერთობების სფერო მისთვის სსრულიად უცნობია და სხდება გაგების საზღვრებს. ბავშვებს არ შესწევთ უნარი, წარმოიდგინონ და დაწვრილებით აღწერონ სექსუალური აქტი, თუ იგი არ შესწრებია, ან თავად არ არის ძალადობრივი ზემოქმედების მსხვერპლი. სქესობრივ ცხოვრებას ადრეულად ნაზიარევი ბავშვებიც კი, ვერ ხვდებიან გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობას და არ შესწევთ უნარი, მოიგონონ ამბავი ამ საკითხზე. სექსუალური ფანტაზიების არსებობა სრულებით ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ძალიან ცოტა ბავშვი ყვება ამის შესახებ და მათი უმრავლესობა, როგორც მოგვიანებით ვლინდება, ძალადობის მსხვერპლია.

არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვები მშობლების კარნახით (მშობლები, რომელტაც აქვთ გარკვეული მოტივი) აკეთებენ შეტყობინებას. შეუძლებელია, ბავშვს დააზეპირებინო ის საკითხები, რომლის შინაარსიც არ ესმის. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი მსგავს ისტორიას იგონებს საკუთარი თავის შესახებ ან ყვება ნაკარნახევს, ვლინდება, რომ ნამდვილად არის არასასურველი სექსუალური მოპყრობის მსხვერპლი. მოზარდებს შესწევთ მეტი ძალა გამოიგონონ ბრალდება, თუმცა ამგვარი ბრალდების უკან ხშირად დგას სხვადასხვა ფორმის ძალადობა და ამ ძალადობრივი გარემოსგან თავის დაწევის სურვილი.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბავშვის ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ჩვენების შეცვლაა, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვების მიერ ჩვენების შეცვლის მიზეზები რეალურად არა გამოგონილ ისტორიაში, არამედ ისეთ ფაქტორებშია, როგორიცაა

- ოჯახის წევრის ან მოძალადის მოთხოვნა;
- აღიარების შემდეგ იმ შედეგების გაცნობიერება და შედეგების შიში, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ბავშვის ჩვენებას;
- პოლიციის ზეწოლა, რომელიც მუდმივად უმეორებს ბავშვს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის ნათქვამს;

- ოჯახში დარღვეული ბალანსის აღდგენის სურვილი - ურცევნია იყოს „მატყუარას“, ვიდრე „მსხვერპლის“ როლში, რადგან თვლის, რომ ამას უფრო მარტივად გაუმკლავდება მისი ოჯახი.

აღნიშნული გარდა, პრაქტიკოსები გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც ცრუ ბრალდებისა და ძალადობის მსხვერპლის ნაამბობის ერთმანეთისაგან გამიჯვნაში შეიძლება დაგვეხმაროს.

რეალური მსხვერპლის ნაამბობი:

- გამომეტყველების ცვლილება - ბავშვი ვეღარ საუბრობს მისთვის ჩვეული მანერით, იგრძნობა შიში, მოდუნება;
- საუბრობს წყვეტილად და აღენიშნება „ჩავარდები“ მეხსიერებაში;
- საუბრობს ბორძიკით და დარცხვენილია;
- თუ იგრძნობს ეჭვს გარშემომყოფების მხრიდან, შეიძლება საერთოდ გაჩუმდეს;

ყალბი ბრალდების შემთხვევაში:

- ბავშვის მეტყველების სტილი და ლექსიკა მისი ასაკის შეუსაბამოა;
- ბავშვი საუბრობს ბევრად ნაკლებ დამახასიათებელ დეტალზე;
- იმეორებს ერთსა და იმავეს;
- თანმიმდევრობის შეცვლა მისთვის დამაბნეველია და ვეღარ აღიდგენს მოვლენათა მსვლელობას;
- ემოციურად ნაკლებად დამაჯერებელია.

სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი პირის მახასიათებლები

კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განმახორციელებელ პირთა თავისებურებას წარმოადგენს:

- იმპულსების კონტროლის ღარიბი უნარები;
- 30-50% ალკოჰოლზე დამოკიდებულია;
- სექსუალური ობსესიებისა და კომპულსიების ქონა (აკვიატებული სექსუალური აზრებისა და ქცევების ქონა);
- სიმორცხვე;

- ღარიბი სოციალური უნარები;
- დაბალი თვითშეფასება;
- მანიპულაციის კარგი უნარები;
- ზრადსრულებთან უნდობლობა და შიში;
- საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის და ძალაუფლების განცდის ნაკლებობა;
- ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლად ყოფნის გამოცდილება;
- არასტაბილური ქორწინებები;
- უმნიშვნელო კრიმინალური ისტორიები;
- ბავშვების სექსუალურად მიმზიდველად/აღმაგზნებლად მიჩნევა;
- სექსუალურ ცხოვრებაში შფოთვისა და ფრუსტრაციის გამოცდილება;
- ზრდასრულებთან ინტიმური ურთიერთობების დამყარების სირთულეები;

მოძალადის ტიპური ქცევის პატერნი საკმაოდ საინტერესო და საგულისხმოა ძალადბის ფაქტების იდენტიფიკაციისა და ამოცნობის თვალსაზრისით. ამგვარი პატერნი გულისხმობს ერთმანეთის თანმიმდევრული რამდენიმე ნაბიჯის არსებობას



1. მსხვერპლის სელექცია - მახასიათებლები, რომლებსაც მოძალადეები ეძებენ მსხვერპლებში:

- ბავშვი, რომელიც მარტოა, ჩუმი და პასიური. ნაკლებად თავდაჯერებულია;
- ბავშვი, რომელიც ეძებს ყურადღებას, რადგან აქვს ამის დეფიციტი მეურვის/მზრუნველის მხრიდან;
- ბავშვი, რომელსაც მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს;
- ბავშვი, რომელიც უკვე იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი; მოძალადეები მათ აღიქვამენ, როგორც „დაზიანებულ ნივთს";
- ბავშვი, რომელიც დისფუნქციური ოჯახის წარმომადგენელია, სადაც ფიზიკური ძალადობის ან ნივთიერებებზე დამოკიდებულებების შემთხვევებია; ასეთ შემთხვევაში ბავშვს არავინ ჰყავს, ვისაც მხარდაჭერისათვის მიმართავდა;
- გოგონები, რომლებიც სექსუალურად აქტიურის შთაბეჭდილებას ტოვებენ;
- ბავშვი, რომლის სანდოობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას;
- ბავშვები, რომლებიც თბილისა და მოსიყვარულეს შთაბეჭდილებას ტოვებენ;
- საზოგადოებრივ ადგილებში მეთვალყურეობის გარეშე მყოფი ბავშები, მაგალითად, სათამაშოების განყოფილებაში, სათამაშო მოედნებზე, პარკებში, სამეზობლო გარემოში, ეკლესიაში.

2. ძალადობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა

- სანდო ადამიანის იმიჯის შექმნა საზოგადოებაში (მზრუნველი, მშრომელი, დამხმარე და ა.შ.);
- ბავშვის ქსელთან დაახლოება (ოჯახთან, მშობელთან დამეგობრება; მატერიალური ან სხვა სახის დახმარების შეთავაზება; ბავშვზე ზრუნვის მზაობის გამოვლენა);
- მოთმინების გამოვლენა ხელსაყრელი დროისა და ადგილის გამოსაჩენად;
- ბავშვის თვალთვალი, მისი ინტერესების, ყოველდღიური რეჟიმის გასარკვევად, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ნდობის მოპოვება და იზოლირება.

3. ბავშვთან დაახლოება

- შეხების დესენსიტიზაცია - სექსუალურ კონტაქამდე, მსხვერპლთან არასექსუალური შინაარსის ურთიერთობის განვითარება. მოძალადეები ამოწმებენ შეხებაზე მსხვერპლის რეაქციას და არკვევენ, თუ რამდენად გათვითცნობიერებულია მსხვერპლი სექსუალური შინაარსის ქმედებებში. მსგავსი ურთიერთობით მიიღწევა შეხებისადმი დესენსიტიზაცია იმგვარად, რომ ბავშვმა რთულად დააფიქსიროს, რომ შეხებას ძალადობის განზრახვა აქვს.
- ბავშვის ცოდნის დონის და რეაგირების შეფასება - ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლს ესაუბრებიან სექსზე, რათა შეაფასონ მათი ცოდნისა და ინტერესის დონე; ასევე, შეიძლება აჩვენონ პორნოგრაფია იმ მიზნით, რომ შეაჩვიონ სექსუალური შინაარსის ქმედებებს. ბავშვები შეიძლება დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ სექსთან დაკავშირებით, მაგრამ მაინცდამაინც

კომფორტულად არ გრძნობდნენ თავს, რომ მშობლებთან ისაუბრონ ამ თემაზე. ასე რომ, მოძალადეები მათი ცნობისმოყვარეობით სარგებლობენ და ბავშვთან ახლო ურთიერთობას ამყარებენ.

4. მანიპულაცია

- გარიგება (მატერიალური სიკეთის; სასურველ აქტივობაში ჩართვის; გამხელილი საიდუმლოს შენახვის სანაცვლოდ);
- ჯილდოს დაპირება და ბავშვისთვის სასურველი და ძნელად მისაღწევი რესურსის შეთავაზება;
- მუქარა (გაამხელს ბავშვის საიდუმლოს; იტყვის, რომ მან გამოიწვია; აღნიშნავს, რომ ბავშვს თავად სურდა და მოსწონდა. ასევე, ახლობლების წინააღმდეგ იგივე ქმედების განხორციელების, დაზიანების ან მოკვლის მუქარა).
- ნუგეშისცემა - დისფუნქციური ოჯახის მქონე ბავშვების მიმართ ემპათიის გამოვლენა; გამართლება, მხარდაჭერა და სხვა.

5. რაციონალიზაცია- თავის გამართლება

მსხვერპლთან დაკავშირებული

ბავშვის ინიციატივა იყო სექსუალური შინაარსის ქცევა ან ბავშვის მხრიდან ფლირტს ჰქონდა ადგილი;

ბავშვს წინააღმდეგობა არ გაუწევია, არ უთქვამს უარი სექსუალური შეხებაზე;

ბავშვი უკვე სექსუალურად აქტიური იყო;

ბავშვს აინტერესებდა სექსი;

ბავშვი გამომწვევად იყო ჩაცმული.

მსხვერპლის მშობლებთან დაკავშირებული

მშობლები ყურადღებას არ აქცევდნენ ბავშვს;

მშობლები ბავშვის მიმართ სითბოსა და სიყვარულს არ გამოხატავდნენ;

მშობლებმა დართეს ნება, რომ ბავშვი მარტო დარჩენილიყო მათთან, მათთან დაეძინა და ა.შ.

ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება

„მეც ასე გავიზარდე“;

„არავინ მითხრა, რომ ეს არასწორი იყო“.

მოძალადეები შემდეგი მიზეზებით ამართლებენ ძალადობრივ ქმედებას:

აღნიშნავენ, რომ უბრალოდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვს, რომელიც უგულბელყოფილი იყო;

ისინი უბრალოდ ამგვარად გამოხატავდნენ სიყვარულსა და სითბოს;

ისინი უბრალოდ ასწავლიდნენ ბავშვს სექსის შესახებ/სექსუალურ განათლებას აძლევდნენ;

ისინი ყოვლად ბავშვურად თამაშობდნენ ხოლმე ერთად (უღიტინებდნენ, ძიძგილაობდნენ);

ორმხრივი თანხმობის საფუძველზე ხდებოდა ეს ყველაფერი, ორივეს უნდოდა ამის გაკეთება;

მათთვის არ უტკენიათ, რადგან ფიზიკურ ტკივილს ადგილი არ ჰქონია.

7. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაცია

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის წამყვანი ემოციური მდგომარეობა, რომელიც წარმართავს მასთან კომუნიკაციის პროცესს, ძალადობით გამოწვეული დისტრესია.

იმისთვის, რომ აღვწეროთ ემოციური მდგომარეობა, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მისი დაკვირვებადი კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს (1) ფიზიოლოგიურ, (2) არავერბალურ და (3) ვერბალურ ნიშნებს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, კრიტერიუმების გამოვლენას უნდა დავაკვირდეთ სამივე კომპონენტში.

1	ფიზიოლოგიური	• ოფლიანობა; გახშირებული სუნთქვა; სიწითლე სახეზე • თვალცრემლიანობა ან ტირილი • ყლაპვის გაჭირვება; უჰაერობა; უძალობა და სხვა ფსიქოსომატური ნიშნები • ტკივილი მუცლის არეში • თავის ტკივილი • კუნთური დაჭიმულობა
2	არავერბალური	• ტიკები: ხელის/ ფეხის უნებლიე ან მონოტონური მოძრაობა • თვალით კონტაქტის დამყარების სირთულე • ზურგით/ შეტრიალებული/მოშორებით ჯდომა • ფრჩხილების კვნეტა/ წვალება • რამე ნივთის მონოტონური, სტერეოტიპული მოძრაობა/გამოყენება

3	ვერბალური	არასრულწლოვანი თავად ამბობს, რომ ცუდად გრძნობს თავს: • უჭირს მომხდარზე საუბარი • ეშინია • სევდიანია • რცხვენია და სხვა

კომუნიკაციაში ჩართვის თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ბავშვის რამდენიმე წამყვანი მდგომარეობა:

ჩართულობა

- ბავშვი ძალდაუტანებლად პასუხობს კითხვებს
- თავად სვამს კითხვებს
- იხსენებს და ყვება დამატებით ისტორიას
- იჩენს ინიციატივას აქტივობის შესრულებისას ან ნეიტრალურ თემაზე საუბრისას

რეკომენდაცია:

- ყურადღება მივაქციოთ ჩართულობის მოტივს (სოციალური მოწონება, ავტორიტეტის მორჩილება, კომუნიკაციის მიმართ ღიაობა) და ამის მიხედვით დავგეგმოთ კომუნიკაციის პროცესი
- შეფასებით, შექებით არ შევუწყოთ ხელი არასრულწლოვანმა გააზვიადოს ამბავი

ინდიფერენტულობა

- კითხვებს მოკლედ სცემს პასუხს
- ამბობს რომ არ იცის/არ ახსოვს არაფერი
- არ იჩენს ინიციატივას დამატებითი ინფორმაციის გაცემაში (ამბის მოყოლაში)
- უჭირს/ არ სურს საუბარი ნეიტრალურ საკითხზე (რა მოსწონს, რით ერთობა...)

რეკომენდაცია:

- მოზარდ არასრულწლოვანს დავუსვათ ღია კითხვები, რომელზეც მეტი აღწერითი სახის ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს, რაც გაუადვილებს მას თხრობას

- მცირეწლოვან ბავშვს კომუნიკაციაში ჩასართავად შესაძლოა დავუსვათ მოკლე და მარტივი კითხვები, რომელიც ნეიტრალური ხასიათისაა და მარტივად საპასუხო (მაგ: რამდენი წლს ხარ, და-ძმა გყავს? და ა.შ.)
- არასრულწლოვანს ავუხსნათ, რატომაა მნიშვნელოვანი მისი ჩართულობა, ვეცადოთ გავიგოთ ინდიფერენტულობას საფუძვლად ნეგატიური აზრები უდევს თუ არა;
- ნეიტრალური თემის გავრცობა და რაპორტის დამყარება გარემოსთან და უცხო პირთარებთან ადამპტაციისთვის.

მტრულობა

- ბავშვი გამოხატავს ღია აგრესიას ვერბალურად ან არავერბალურად
- ამბობს უწმაწურ სიტყვებს
- ყრის ნივთებს
- ფიზიკურად ეხება კომუნიკატორს ან ვერბალურად გამოხატავს უკმაყოფილებას, კომუნიკაციის სურვილის არქონას
- უნდობლობას გამოხატავს ვერბალურად (არ გეტყვი; შენთან არ ვილაპარაკებ...)
- მოზარდ არასრულწლოვნებთან პასიური აგრესიის ნიშნები, როგორიცაა ცინიზმი, სარკაზმი, დაცინვა

რეკომენდაცია

- მივცეთ ემოციური ვენტილაცის, აგრესიისგან დაცლის შესაძლებლობა
- ავუხსნათ მისი როლის მნიშვნელოვნება კომუნიკაციის პროცესში („შენ იცი რა მოხდა, შენ შეგიძლია დაგვეხმარო“)
- არ ვუპასუხოთ რიტორიკულ კითხვებს
- ნეგატიური, გამომწვევი ქცევის იგნორირება
- კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა ცუდ ქცევაზე (მე-ფორმულირებით).
- ბავშვისთვის მნიშვნელოვანი, ავტორიტეტული საკითხის აღმოჩენა და ამით ოპერირება
- ბალანსის დაცვა მხარდაჭერას (მის მხარეზე ყოფნის დემონსტირებასა) და სიმტკიცის გამოვლენას შორის.

გაქცევა

- ბავშვი აქტიურად შედის კონტაქტში კომუნიკატორთან ყვება ამბებს, თამაშობს, სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს, მაგრამ დასმულ კითხვებს არ სცემს პასუხს, არ მიყვება ინსტრუქციას.
- დასმულ კითხვაზე სცემს შინაარსობრივად შეუსაბამო პასუხს
- ცდილობს ყურადღება გადაიტანოს სხვა აქტივობაზე

რეკომენდაცია:

- ემპათიის გამოვლენა.
- პირდაპირ მიმართული კითხვების გამოყენება კომუნიკაციის პროცესში
- პირდაპირი ინსტრუქციის მიცემა კომუნიკაციის დაწყებასთან დაკავშირებით („ახლა მე და შენ ცოტა ხანი ვისაუბროთ შენზე“)
- შეთანხმება/თანამშრომლობა თუ ბავშვი დაკავებულია აქტივობით („ახლა ვისაუბრებთ, და ცოტახანში განვაგრძობთ ხატვას“)
- არარელევანტური თემის იგნორირება, რომელსაც ბავშვი შესაძლოა მიზანმიმართულად იყენებდეს ყურადღების გადასატანად.

ზოგჯერ არ არის რეკომენდირებული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციის დამყარება. ეს განსაკუთრებით ყურადსაღებია მაშინ, როდესაც ბავშვი ძალიან მოუსვენარია; სპეციალისტი არ არის სათანადოდ მოზადებული კონკრეტული შემთხვევისთვის ან არ აქვს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან მუშაობის გამოცდილება; ბავშვმა ცოტა ხნის წინ ისაუბრა განცდილ ძალადობაზე სხვა სპეციალისტთან.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან კომუნიკაცია შესაძლებელია ემოციურად რთული გამოცდილება იყოს სპეციალისტისთვისაც, ფაქტის დეტალების ან თავად ბავშვის მახასიათებლების გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს და მოვერიდოთ:

- ფიზიკურ კონტაქტს სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლს ბავშვებთან;
- შიშის, ზიზღის ან დაეჭვების გამომხატველ ემოციურ რეაქციებს ბავშვის მონათხრობზე;
- გრძნობების მძაფრად გამოხატვას იმის მიუხედავად, რასაც არ უნდა ყვებოდეს ბავშვი;
- პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას;

- სხვა სპეციალისტების ფუნქციების საკუთარ თავზე აღების მცდელობას;
- ბავშვის მონათხრობის ინტერპრეტირებას.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაციისას, დამატებით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებები:

- არ დაიწყოთ კომუნიკაცია პირდაპირ განცდილი ძალადობის გარემოებებით;
- ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს - ნუ ეცდებით მისი მონაყოლის შესწორებას და შეწყვეტინებას;
- დაიცავით კონფიდენციალობა და ესაუბრეთ იზოლირებულ გარემოში;
- ბავშვს ესაუბრეთ მარტივად, მოერიდეთ მოზარდისთვის გაუგებარი ტერმინოლოგიის გამოყენებას;
- სასქესო ორგანოებს ის სახელები უწოდეთ, რასაც ბავშვი უწოდებს მათ;
- არ ასწავლოთ და დეტალურად არ მოუყვეთ ბავშვს/მოზარდს სექსუალური აქტის და მასთან დაკავშირებული ქცევის თავისებურებების შესახებ;
- არ გააკრიტიკოთ ბავშვი მისი ქმედებების გამო და ასევე, არ იმსჯელოთ მოძალადის ქცევაზე მისი თანდასწრებით;
- სხეულით მიმართული იყავით ბავშვისკენ და აქტიურად დაამყარეთ თვალით კონტაქტი;
- არ გადაიტანოთ ყურადღება სხვა აქტივობაზე კითხვის დასმის შემდეგ (მაგ. ტელეფონზე საუბარი, დოკუმენტების გადახედვა და სხვ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში (2013);

ნისი მარტინ, „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, დარღვეული დუმილის დადებითად გამოყენება“ (2017);

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი „ბავშვზე ძალადობა და უგულვებელყოფა- გამოვლენა და რეაგირება“ (2017);

შსს აკადემიის ფსიქოლოგთა ჯგუფი - „არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები“ (2016).